PDF Eraser Free

დანართი №3

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ქეთევან ბოტკოველი
წევრი:
მზია ბაკურიძე

(თბილისი, 2020)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 10 აგვისტოს N678297 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე **„ფარმაცია (სააფთიაქო)“** პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება. ამ მიზნით ვიზიტი განხორციელდა ქ. თბილისში, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელში 2020 წლის 20 და 21 აგვისტოს.

ვიზიტის დაწყებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა და არსებული გარემოებების გათვალისწინებით შეადგინა დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. ექსპერტები ადგილზე გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელობას და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად განიხილეს დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. გაესაუბრნენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ მოდულების განმახორციელებელ პირებს და შეამოწმეს მათი პირადი საქმეები. გაესაუბრნენ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს და განიხილეს პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან და საგანმანთლებლო პროგრამის შეფასებასა და განვითარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. ექსპერტების მიერ განხორციელდა ასევე სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა და შესაბამის პასუხისმგებელ პირთან გასაუბრება. შემოწმდა დაწესებულების მატერიალური ბაზა, საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკაში არსებული პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი ფონდი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. შემოწმდა პრაქტიკის ობიექტებთან დადებული მემორანდუმები/ხელშეკრულებები და განხორციელდა მათთან გასაუბრება ონლაინ რეჟიმში.

ვიზიტისას მიმდინარეობდა ჯგუფის წევრებს შორის გაწეული მუშაობის შედეგების შეჯამება და დაწესებულებისთვის წარდგენა. ვიზიტის ბოლოს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წინაშე წარადგინა ვიზიტის პერიოდში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის N 125 გადაწყვეტილებით დაწესებულებას სხვა პროგრამებთან ერთად მიენიჭა ქ. თბილისში „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 60-ით. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

I რეკომენდირებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფიაქო)“ სასწავლო გეგმაში გასწორდეს მოდულის „ბიოქიმია“ წინაპირობები.

რეკომენდაცია გათვალისწინებულია

II რეკომენდირებულია „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია მოყვანილ იქნას შესაბამისობაში ჩარჩო დოკუმენტთან.

რეკომენდაცია გათვალისწინებულია

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია

1. ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია, მარეგულირებელ დოკუმენტებში დუბლირებული ერთი და იგივე მექანიზმების გამიჯვნასთან დაკავშირებით. ეს დოკუმენტებია: „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება“ და „შეფასების სისტემა და მისი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“. ექსპერტთა შეფასებით სხვადასხვა დოკუმენტებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გაწერილი ერთიდაიგივე მექანიზმები არაეფექტურია პროცესების ადმინისტრირებისთვის, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებიც დაეთანხმნენ ექსპერტებს.

2. რამოდენიმე მოდულის განხორციელებისთვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება მინიმუმ ორ პროფესიული განათლების მასწავლებელთან. რეკომენდირებულია პროგრამის განმახორციელებელ პესონალთან გაფორმებულ მომსახურების ხელშეკრულებებში **გაკეთდეს დამატებითი ჩანაწერი,** რომ პროფესიულ მასწავლებელს ანაზღაურება მიეცემა მოდულით განსაზღვრული საათების ჩატარების შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცებულია: კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 27 ნოემბრის N18 ბრძანებით ცვლილებები: კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 5 თებერრვლის N3 ბრძანება კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 27 თებერრვლის N8 ბრძანება კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 24 აპრილის N11 ბრძანება კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 30 მაისის N14 ბრძანება კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 18 ოქტომბრის N38 ბრძანება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 19 თებერვლის N2 ბრძანება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 22 ივნისის N37 ბრძანება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

	კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 26 ივნისის N38 ბრძანება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 ივნისის N40 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ.თბილისი, გ.ზაზიაშვილის N1
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით, მათ შორის ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში), ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად	60
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა დამატებით მოთხოვნილი რაოდენობა	60
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	120 პროფესიული სტუდენტი, ქ.თბილისი, გ.ზაზიაშვილის N1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, ადმინისტრაციასთან გასაუბრების და წარმოდგენილი დასაბუთების გაცნობის შედეგებით ირკვევა, შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ფანასკერტელი“, მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, წლების მანძილზე წარმატებით ახორციელებდა ჯანდაცვის მიმართულების პროგრამებს: ექთნის თანაშემწე (საგნობრივი), პრაქტიკოსი ექთანი (საგნობრივი/მოდულური), ფარმაცევტის თანაშემწე (საგნობრივი), ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი (საგნობრივი), ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის N125 გადაწყვეტილების თანახმად, კოლეჯმა მოიპოვა საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება და მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ოდენობა განისაზღვრა 60-ით. დღევანდელი მონაცემებით პროგრამაზე ჩარიცხულია 48 პროფესიული სტუდენტი, თუმცა ახალი მიღებისთვის 12 ადგილზე დარეგისტრირებულ აპლიკანთა რაოდენობა 77 -ს შეადგენს. სწორად ეს გაზრდილი მაჩვენებელი, გახდა მთავარი მამოტივირებელი კოლეჯისთვის მოეთხოვა ზღვრული რაოდენობის 120-მდე გაზრდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რაც ასევე დასაბუთებიდან ჩანს, რომ კოლეჯი წლების განმავლობაში აქტიურად თანამშრომლობს ფარმაცევტულ კომპანიასთან სს „გეფა“, სადაც არა მარტო მათი კურსდამთავრებულები საქმდებიან, არამედ პროფესიული სტუდენტებიც სწავლის პროცესში 4 საათიანი სამუშაო გრაფიკით, რათა ხელი არ შეეშალოთ სწავლაში. პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან და კომპანიის წარმომადგენელთან გასაუბრების შედეგებმაც დაადასტურეს კომპანიასთან მჭიდრო ურთიერთობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასაბუთებაში წარმოდგენილია ასევე - პროგრამა „ფარმაცევტის თანაშემწის“ ფარგლებში კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის მაჩვენელი, რომელიც ასე გამოიყურება: 2018 წლის 17 კურსდამთავრებულიდან 13 დასაქმებული, ხოლო 2019 წლის 16 კურსდამთავრებულიდან 10 დასაქმებული. კონკრეტულად ამ პროგრმის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ფარგლებში კოლეჯს გაფორმებული აქვს კომპანიასთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანია მხარეთა ერთობლივი საქმიანობით კოლეჯის ფარმაცევტული სპეციალობის სტუდენტთა ხელშეწყობა, რამდენადაც კომპანია თავადაც არის დაინტერესებული კოლეჯის კურსდამთავრებულების დასაქმებით.

„კოლეჯის“ და „კომპანიის“ ერთობლივი საქმიანობის სფერო და მოცულობა განისაზღვრება ურთიერთთშეთანხმების საფუძველზე, რომლის თანახმად დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 8 მოდულის (შეთანხმებაში ჩამოწერილია მოდულების დასახელებები) პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიის დაქვემდებარებაში სხვა აფთიაქებთან ერთად შედის 300-მდე ფარმადეპოს და ჯპს-ის აფთიაქი მთელი საქართველოს მაშტაბით, მათ შორის 200-მდე აფთიაქი თბილისშია განთავსებული. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომპანია დაინტერესებულია კვალიფიცირებული კადრებით და აქედან გამომდინარე სრულ მზადყოფნას გამოთქვამს მონაწილეობა მიიღოს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში, რაც ასევე დაგვიდასტურა კომპანიის წარმომადგენელმა ონლაინ ჩართვაში. მასთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი კარგად იცნობენ მოდულებს და კონკრეტული მოდულების განხორციელების პერიოდში აქტიურად ითანამშრომლებენ კოლეჯის შესაბამის პირებთან კონკრეტული შედეგების განხორციელების თაობაზე და როგორც სხვა პროგრამების განხორციელებისას, ასევე ამ პროგრამის ფარგლებშიც ხელს შეუწყობენ პროფესიულ სტუდენტებს აფთიაქების შერჩევაში და დროის მენეჯმენტში.

2.1.1.2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - სრული ზოგადი განათლება, შესაბამისად განსაზღვრულია პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

2.1.1.3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის დირექტორის ბრძანებით N40 (30.06.2020 წ) დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიის განსაზღვრის საფუძველია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 331 მუხლის 1 და მე-2 პუნქტები.

წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება: ა) A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; ბ) B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით მხედველობაში მიიღება ასევე პრაქტიკის კომპონენტი, რომელიც ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია ის შემთხვევაც, როდესაც ერთიდაიგივე გარემო რამდენიმე პროგრამისათვის გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში გარემოს დატვირთვის რესურსი ნაწილდება ყველა პროგრამაზე. კვოტის განსაზღვრის მეთოდოლოგიას თან ერთვის A,B,C გარემოს დატვირთვის ცხრილები პროგრამების/მოდულების მიხედვით. ცხრილებიდან ჩანს, რომ A,B,C გარემოს რეალური დატვირთვა არ აღემატება მის გამტარუნარიანობას.

მეთოდოლოგიის თანახმად განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ფარმაცია (სააფთიაქო) მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაც, რომლის დადგენის დროს კოლეჯმა გაითვალისწინა არსებული აუდიტორიების გამტარუნარიანობა, შესაბამისი მოდულების განმახორციელებლების რაოდენობა (16 პროფესიული მასწავლებელი) და პროგრამისთვის გამოყო 3 - A სასწავლო გარემო (A1 - 30 სამუშაო ადგილით, A2 - 20 სამუშაო ადგილით და A3 - 20 სამუშაო ადგილით). ორი B სასწავლო გარემო (კომპიუტერული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
კლასი), თითოეულ გარემოში არის 10-10 სამუშაო ადგილი პროფესიული სტუდენტისთვის და AC გარემო. გამტარუნარიანობის ცხრილიდან ნათლად ჩანს რომ AC გარემოს მაქსიმალური საათობრივი დატვირთვა წლიურად შესაძლებელია იყოს 68640, ხოლო რეალური დატვირთვა არ აღემატება 49740 საათს.

საერთო ჯამში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ გამოყოფილია A1, A2, A3, AC, B1 - სასწავლო გარემო, რომლებიც განთავსებულია შემდეგ აუდიტორიებში: N1, N9, N11, N13, N14.

2.1.1.4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ექსპერტების მიერ გადამოწმდა და დადასტურდა პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსის არსებობა და დადგინდა მათი შესაბამისობა ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულებისათვის.

2.1.1.5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ფარმაცია (სააფთიქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ერთ არჩევით მოდულს - „მზა წამალთფორმების კლასიფიკაცია და შენახვის პირობები“ - 3 კრედიტის მოცულობით, რაც ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან. არჩევითი მოდული არ აღემატება ამავე პროგრამის ზოგადი და პროფესიული მოდულების კრედიტთა საერთო მოცულობის 20%-ს.

2.1.1.6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია“ (სააფთიაქო) დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის დირექტორის 2020 წლის 8 ივნისის N19 ბრძანებით, რაც განსაზღვრულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით.

2.1.1.7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროგრამის დასახელება ასრულებს პროგრამის იდენტიფიკატორის ფუნქციას, სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, პროგრამის დასახელება არ არის შეცვლილი და იდენტურია პროფესიული საგანმანათებლო დაწესებულებების საბჭოს გადაწყვეტილებით ავტორიზებული პროგრამის დასახელებისა.

2.1.1.8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. შემუშავების საფუძველია ჩარჩო დოკუმენტი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი ფარმაცია (სააფთიაქო) / Pharmacy 09110-პ. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა (123 კრედიტი ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის, 153 კრედიტი არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის), პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, დაწესებულების მიერ წარმოგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები და სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის ბრძანებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით (მუხლი 23,24,25,26);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ინტერვიუირების შედეგებით დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან;
- ხელშეკრულებით პრაქტიკის შესახებ;
- ვებგვერდით-http://fanaskerteli.edu.ge/

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ექსპერტთა შეფასებით კოლეჯს გააჩნია სასწავლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი ინვენტარი. კერძოდ, სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის სკამებით, მაგიდებით და მერხებით, ამასთან, კოლეჯს აქვს სასწავლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი კომპიუტერების რაოდენობა, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით. დაწესებულების არსებული რესურსი აკმაყოფილებს როგორც არსებული, ისე დასამატებელი პროგრამების სტუდენტების საჭიროებებს. .

პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი, თეორიული და არჩევითი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

კერძოდ:

A გარემო-სასწავლო აუდიტორია №13 - 20 სტუდენტზე - სასწავლო აუდიტორია განკუთვნილია თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც აღჭურვილია პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით (მაგიდა/სკამი), პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი) ,დაფა, ნოუთბუკითა და მონიტორით პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის .

A გარემო-სასწავლო აუდიტორია №1 - 20 სტუდენტზე - სასწავლო აუდიტორია განკუთვნილია თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც აღჭურვილია პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით (მაგიდა/სკამი) პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი) ,დაფა, ნოუთბუკითა და მონიტორით პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის
.

A გარემო-სასწავლო აუდიტორია №11 - 30 სტუდენტზე. - სასწავლო აუდიტორია განკუთვნილია თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც აღჭურვილია პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით (მაგიდა/სკამი) პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი) ,დაფა, ნოუთბუკითა და მონიტორით პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის, ასევე სასწავლო პლაკატებით და პარაფარმაციის აღჭურვილობით.

AC გარემო-სასწავლო აუდიტორია №14 - 30 სტუდენტზე - (ლაბორატორია+სიმულაციური აფთიაქის მოდელი)-განკუთვნილია თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც აღჭურვილია პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით (მაგიდა/სკამი), პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი) ,დაფა, ნოუთბუკითა და მონიტორით პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის, ასევე სასწავლო პლაკატებით და მზა წამალთ ფორმების აღჭურვილობით.

B გარემო -კომპიუტერული კლასი №9,10 - 10-10 სტუდენტზე, სრულადაა აღჭურვილი მოდულის ,,ინფორმაციული წიგნიერება 2''-ის განსახორციელებლად. მასში განთავსებულია პროფესიული სტუდენტებისათვის და პროფესიული მასწავლებლისათვის განკუთვნილი კომპიუტერები, პროექტორი და კომბაინი. დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ მოდულის ,,ინფორმაციული წიგნიერება 2''-ის განხორციელება მოხდება ეტაპობრივად 10-10 კაციანი ჯგუფებით, ვინაიდან მოდულს არ აქვს წინაპირობა და არც თავად არის რომელიმე მოდულის წინაპირობა.

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული ნაწილის კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება სს,,გეფა"-სთან (N20/3,1.06.2018). ხელშეკრულება განსაზღვრავს ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურისა და ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამების სტუდენტებისთვის აფთიაქის მუშაობის გაცნობას, თუმცა 2018 წლის 5 დეკემბერს შესულია ცვლილება ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებაში შეთანხმების სახით N41/3, რომელიც ითვალისწინებს ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიული საგანმამანათლებლო პროგრამის მოდულების პრაქტიკულ ობიექტზე განხორციელებას, კერძოდ:

1. მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების შერჩევა.
2. მომხმარებლისათვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა.
3. მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა.
5. მომხმარებლისთვის მოვლის და ჰიგიენის საგნების შერჩევა.
6. პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება.
7. მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება.
8. სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში.

ხელშეკრულებას თან ერთვის დანართი, რომელშიც გაწერილია წაყენებული მოთხოვნები, ფუნქციები, პასუხისმგებლობა, უფლება-მოვალეობები. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით,

2.2.1.2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

სასწავლო საქმიანობის სრულყოფილად წარმართვისათვის კოლეჯს ჰყავს მოქმედი კანონმდებლობითა და კოლეჯის სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე საჭირო ოდენობის პროგრამის განმახორციელებელი პირი/პროფესიული განათლების მასწავლებელი (2020 წლის 8 ივნისის N19 ბრძანება-მუხლი 61-62-63);
ექსპერტთა შეფასებით ფარმაცია (სააფთიაქო) პროგრამისთვის განსზღვრული განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობაა (16) და სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა და სხვა მნიშვნელოვანი აქტივობები, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, მონაწილეობა მათი ვალიდაციის პროცესში, პროფესიულ სტუდენტთა ნაშრომების შეფასება, პროგრამის ხელმძღვანელობა, ზოგ შემთხვევაში მონაწილეობა საკუთარი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში ნაწილი საკითხები გაწერილია კოლეჯის მარეგულირებელ დოკუმენტებში და ნაწილი დარეგულირებულია პროფესიული განათლების მასწავლებლებთან დადებულ შრომის/მომსახურეობის ხელშეკრულებაში, ეს ყველაფერი გათვლისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო დატვირთვაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.2.1.3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის პერიოდში შემოწმდა მათი პირადი საქმეები. პროგრამის განხორციელების მდგრადობის დასადგენად ექსპერტებმა ასევე გადაამოწმეს მათი ჩართულობა სხვა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში. აღნიშნული დოკუმენტაციის გადამოწმების და მათთან გასაუბრების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაციის (სააფთიაქო)“ განსახორციელებლად, პროფესიული განათლების მასწავლებლები, აყვანილნი არიან დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესის საფუძველზე და აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. მიმდინარე წელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული იყო ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელი პერსონალისთვის ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე .

პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის დანიშვნის აქტების და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადამოწმებამ აჩვენა, რომ ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (კოლეჯის შრომის შინაგანაწესი - დამტკიცებულია შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის დირექტორის 2020 წლის 8 ივნისის N21 ბრძანებით.

2.2.1.4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

„ფარმაცია (სააფთიაქო)“ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების შესაბამისად კოლეჯის დირექტორის ბრძანებით არის დანიშნული. ამავე დებულების თანახმად განსაზღვრულია მისი უფლება-მოვალეობები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს სასწავლო პროცესში;
- განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემას, მონაწილეობს მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებაში;
- მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამების ადაპტირებას, დანერგვასა და მოდიფიცირებაში;
- ახდენს პროგრამის განმახორციელებელ პირთა/პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროების იდენტიფიცირებას და მონაწილეობს კვალიფი¬კაციის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებებში;
- მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პოლიტიკისა და კოლეჯის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების, პერსონალისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასების პროცედურების შემუშავებაში;
- მისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს პროფესიული მასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესში თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებას;
- მონაწილეობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციისათვის თვითშეფასების პროცესის განხორციელებაში და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებაში;
- მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგად რეკომენდაციებისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში, საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით;
- ზრუნავს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე.

პროგრამის ხელმძღვანელთან ჩატარებული ინტერვიუს და მისი პირადი საქმის განხილვის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, იგი კარგად იცნობს საკუთარ მოვალეობებს და მას აქვს უნარი და შესაბამისი კვალიფიკაცია კარგად გაართვას თავი დაწესებულების მიერ პროგრამის ხელმძღვანელისთვის განსაზღვრულ ზემოაღნიშნულ ფუნქცია-მოვალეობებს.

2.2.1.5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კოლეჯის ბიბლიოთეკის ბეჭდვითი და ელექტრონული წიგნადი ფონდი მოიცავს სულ 1165 ერთეულს, რომელთა შორის არის ყველა ის წიგნი და რესურსი, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებშია მითითებული. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მასში განთავსებულია კომბაინი და ინტერნეტის ქსელში ჩართული და ადეკვატური პროგრამული უზრუნველყოფის მქონე 3 კომპიუტერი, რომლითაც სარგებლობა შესაძლებელია შეუზღუდავად. კოლეჯს ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელიც სრულად აკმაყოფილება მარეგულირებელი დებულებით განსაზღვრულია ბიბლიოთეკარის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მასთნ გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება (2020 წლის 8 ივნისის N19 ბრძანება-მუხლი 16); ბიბლიოთეკის სივრცეებში დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო წესები, ასევე უსაფრთხოებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა პირობები და მოთხოვნები (2020 წლის 8 ივნისის N19 ბრძანება-მუხლი 57); ვიზიტის დროს მოხდა საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობის გადამოწმება შერჩევითი პრინციპით, როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური სახით და დადგინდა, რომ შესაძლებელია მათი გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ასევე განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე : www.fanaskerteli.edu.ge

2.2.1.6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ამ ეტაპამდე კოლეჯს არ ჰყოლია სსსმ პირები, თუმცა საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი გამოთქვამს მზადყოფნას მათი მომსახურებისთვის. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯში სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან. კოლეჯის ადმინისტრაცია სსსმ და შშმ პირების შეუფერხებელი საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფის მიზნით - მოახდენს შესაბამისი მატერიალური, ადამიანური, ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო რესურსებით პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერას;

კოლეჯის დებულების თანახმად სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სსსმ და შშმ პირების არსებობის შემთხვევაში მოახდენს ამ პირების საჭიროების შესწავლასა და ანალიზს, რის შემდეგაც ადმინისტრაციას წარედგინება რეკომენდაციები გამოვლენილი პრობლემების დროულად და ეფექტურად გადაჭრის მიზნით; სსსმ და შშმ პირები მიიღებენ მისთვის საჭირო ინფორმაციას და ასევე ადმინისტრაციულ მხარდაჭერას; მოდულის განმახორციელებელი სსსმ და შშმ პირს იდენტიფიცირებული საჭიროების გათვალისწინებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეუდგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება პირის განსხვავებული მოთხოვნები და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები;

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სსსმ და შშმ პირებისთვის სწავლა-სწავლების, შეფასების, სასწავლო ინსტრუქციების, საგანმანათლებლო რესურსების ადაპტაციას, სათანადო ფორმებისა და პირობების შეთავაზებას, რათა პირი შეუფერხებლად იქნას ჩართული საგანმანათლებლო პროცესში. საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში შეიძლება მონაწილეობა მიიღონ პროფესიულმა სტუდენტმა, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, მოდულის განმახორციელებელმა პირებმა და ასევე სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტმა;

2.2.1.7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. ექსპერტები გაეცვნენ კოლეჯის ბიუჯეტს და ამ საკითხთან დაკავშირებით გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენელს და პროგრამის ხელმძღვანელს. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა სწავლის საფასური ან/და ვაუჩერული დაფინანსება, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს ადმინისტრაციის ხელფასს, პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურებას, სასწავლო მასალების და ნედლეულის ხარჯებს, კომუნალურ ხარჯებს, იჯარის და სხვა ხარჯებს. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო დანახარჯებისა და შემოსავლების შედარებით რენტაბელური ჯგუფის ოდენობა, ანუ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას განსაზღვრულია 11 პროფესიული სტუდენტით. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა აღემატება რენტაბელობის ნორმას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით;
- ლიტერატურის შესყიდვის/ჩუქების დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- ბიბლიოთეკარის პირადი საქმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ინტერვიურებით ბიბლიოთეკართან;
- ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებით;
- კოლეჯის მატერიალური რესურსის/ინვენტარის/კომპიუტერული ტექნიკის/ და სხვ. ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით (2020 წლის 8 ივნისის N19 ბრძანება- მუხლი 55-56);
- კოლეჯის შრომის შინაგანაწესით (2020 წლის 8 ივნისის N21 ბრძანება);
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები/შრომითი ხელშეკრულებებით;
- დაწესებულების ვებგვერდით : www.fanaskerteli.edu.ge;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- ინტერვიუს შედეგებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.1.1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს და დირექტორის 2018 წლის 30 ნოემბრის N43 ბრძანებით (ცვლილება განხორციელებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 8 ივნისის N24 ბრძანებით) დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავების მიზანია ხარისხის უზრუნველყოფის როგორც პროცესის დაგეგმვა დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგის და შეფასების მიზნით. ხარისხის შეფასების ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, გადახედვა/გაუმჯობესება. ექსპერტთა შეფასებით „ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ გამოცდილებას.

დოკუმენტის გაცნობის და ხარისხის მენეჯერთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ხარისხის გაუმჯობესების მიზნით კოლეჯში განსაზღვრულია ჩასატარებელი ღონისძიებების სიხშირე, კრიტერიუმები და განმახორციელებლები. განისაზღვრება კონკრეტული მიზნები, რესურსები, ამ მიზნების მისაღწევი სტრატეგიული ქმედებები, რომლის შედეგებსაც დაწესებულება იყენებს მართვის პროცესების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამ დოკუმენტის შესაბამისად დაწესებულებას შემუშავებული აქვს და ვებგვერდზეა განთავსებული 2020-2025 წლის ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგია.

როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში განხორციელების პროცესი ექვემდებარება რეგულარულ შემოწმებას და ანგარიშგებას. განხორციელება მოიცავს ძირითად და დამხმარე პროცესებს: სტუდენტების მიღება/ჩართვა სასწავლო პროცესში; სწავლა/სწავლების პროცესის ხარისხის მონიტორინგი; პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტების/დამსაქმებლების უკუკავშირი; კურსდამთავრებულთა მხარდაჭერა (დასაქმება/ხელშეწყობა და შემდგომი კავშირი); პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება/ტრენინგები; მატერიალური რესურსების გაუმჯობესება/სრულყოფა; კომუნიკაცია; ფინანსური რესურსები.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და მიმდინარეობის მონიტორინგისა და შეფასების მთავარი მიზანია გამოავლინოს პროგრამების შემუშავება/დანერგვაში არსებული გამოწვევები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები. ამ პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის აუცილებელია კოლეჯის პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის/პროფესიული განათლების მასწავლებლის და ადმინისტრაციის სრული ჩართულობა. ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს სასწავლო პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს, რაც გამოიხატება ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის/პროფესიული განათლების მასწავლებლების, პრაქტიკის ბაზების/პოტენციური დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების რეგულარულ გამოკითხვას. ასევე, მონიტორინგსა და შეფასებას ექვემდებარება კოლეჯის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ შედგენილი ანგარიშები და განხორციელებული აქტივობები (განხორციელებული შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ).

ხარისხის მართვის მენეჯერის ვალდებულებაა გაანალიზოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგები და პროცესის გაუმჯობესების თაობაზე რეკომენდაციები გადასცეს დაწესებულების დირექტორს რეაგირებისათვის.

პროცესების შესაბამისობის დასადგენად კოლეჯში გამოიყენება სპეციალური ფორმები. დაწესებულებაში შემუშავებულია ონლაინ კითხვარები: პერსონალის კითხვარი, პროფესიული სტუდენტის კითხვარი ფორმალურ გარემოში სწავლების შესაფასებლად/ პროფესიულ სტუდენტთა კითხვარი დისტანციური სწავლების შემთხვევაში, პროგრამის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების მასწავლებლის კითვარი ფორმალურ გარემოში სწავლების შესაფასებლად/ პროგრამის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მასწავლებლის კითხვარი დისტანციური სწავლების შემთხვევაში, პრაქტიკის ობიექტის/დამსაქმებლის კითხვარი. აღნიშნული ფორმები მტკიცდება დირექტორის მიერ.

დისტანციური არხებით სწავლებისას პროფესიულ სტუდენტენტთა გამოკითხვა ხორციელდება შემდეგი მიმართულებით:

- ონლაინ სასწავლო პროცესის ორგანიზებულობა
- ონლაინ სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობა
- ონლაინ წარმართული მოდულის/სწავლის ცალკეული შედეგების შეფასება
- პროგრამის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება
- პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ადექვატურობა

წელიწადში ერთხელ, კურსდამთავრებულთა გამოკითხვა ხდება ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შემუშავებული/წარდგენილი ონლაინ კითხვარებით. აღნიშნულის მიზანია კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა და მათი პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი მოთხოვნების გადახედვა. შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი ინსტრუმენტები:

- კურსდამთავრებულთა ონლაინ კითხვარი
- კურსდამთავრებულთა დასაქმების აღრიცხვა/სტატისტიკის ანალიზი

გარკვეული პერიოდულობით იმართება შეხვედრები პოტენციურ დამსაქმებლებთან მათი საჭიროებების გამოვლენის მიზნით, რომელთა მიზანიცაა კონკრეტული პროგრამისათვის იმ უნარ-ჩვევებისა და ცოდნის იდენტიფიცირება რომელიც საჭიროა კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის დასასაქმებლად.

დოკუმენტში არის ჩანაწერი და იგივე დაგვიდასტურა კოლეჯის ხარისხის მენეჯერმა, რომ კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებების გათვალისწინებით განხორციელდება საქართველოს სხვა პროფესიულ სასწავლებლებში, ასევე საერთაშორისო პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, არსებული მსგავსი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გამოცდილების გაზიარება, რაც ხელს შეუწყობს კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კონკურენტუნარიანობის და ცალკეული კომპონენტების ხარისხის განსაზღვრას მისის შემდგომი განვითარებისთვის.

ხარისხის შეფასების ციკლის ეტაპეპიდან გამომდინარე ხარისხის მართვის მენეჯერი ახდენს საჭირო რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების იდენტიფიცირებას, მათ შეგროვებას, ანალიზს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს/სამოქმედო გეგმას და ამზადებს ანგარიშს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტთა შეფასებით „ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან და საუკეთესო ადგილობრივი გამოცდილების გაზიარებას.

2.3.1.2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ექსპერტთა შეფასებით, რაც ეფუძნება კონკრეტული დოკუმენტების გაცნობას და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებას, ასევე კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ფარმაცია (სააფთიაქო)“, რომელშიც შესულია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული რიგი ცვლილებისა, ხარისხის მართვის მენეჯერი, დირექტორთან კონსულტაციისა და პერსონალთან თანამშრომლობით, აანალიზებს პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგებს და გამოიყენებს ყველა პროცესის გასაუმჯობესებლად. ხარისხის მართვის მენეჯერი ახდენს წარმატების თუ წარუმატებლობის გამომწვევი ფაქტორების იდენტიფიცირებას, წარუმატებელი ფაქტორების გარდაქმნას გაუმჯობესების გეგმად და საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს მაკორექტირებელ, გაუმჯობესების და შემდეგი წლის სამოქმედო გეგმას.

ყოველწლიურად, სასწავლო წლის დასრულების შემდეგ კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი და კოლეჯის ადმინისტრაცია განიხილავს ჩატარებული კვლევების შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში კოლეჯის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში ცენტრი) მიერ ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის, უკუკავშირის კურსდამთავრებულების/პროფესიული სტუდენტების, სოციალური პარტნიორობის, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების/პროფესიული მასწავლებლების, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციის, საერთაშორისო პრაქტიკის ან სხვა გარემოების საფუძველზე (მუხლი 25);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული 2018-2019 სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშიდან და დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით ექსპერტებმა მიიღეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ დაწესებულებაში შემუშავებული ანონიმური კითხვარების მიხედვით 2019 წლის განმავლობაში გამოიკითხა პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და ადმინისტრაციული პერსონალი. ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ გამოკითხვის შედეგების ანალიზის დოკუმენტს. გამოკითხვის მიზანი იყო შედეგების ანალიზის საფუძველზე სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების განხორციელება საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით;
- 2020-2025 წლის ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგიით;
- დაწესებულების მიერ შემუშავებულია კითხვარებით;
- ადმინისტრაციის და პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგების ანალიზის დოკუმენტით;
- 2018-2019 სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშით
- კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით-დამტკიცებული შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის დირექტორის 2020 წლის 8 ივნისის N19 ბრძანებით;
- დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრების შედეგებით;
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან გასაუბრების შედეგებით;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ განსახორციელებლად კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის მიერ შემუშავებულია სასწავლო გეგმა, რომელშიც დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები. გეგმის თანახმად სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 სთ-ს.

გეგმის თანახმად პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა - 22 სასწავლო თვე (83 სასწავლო კვირა), ხოლო იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა 28 სასწავლო თვეა (103 სასწავლო კვირა). სასწავლო გეგმით არ არის განსაზღვრული ვადა განმეორებითი შეფასებისათვის, თუმცა საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით (მუხლი 40). „პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება მოდულური პროგრამებისთვის“- განსაზღვრულია შეფასებისას უარყოფითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შედეგის მიღების შემთხვევაში მოდულის გადაბარების წესი. კერძოდ, თუ აღნიშნული მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს აღნიშნული მოდულის სწავლის შედეგები დაადასტუროს მომდევნო მოდულის შეფასების დადგომამდე. დამატებითი შეფასების თარიღი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.იმ შემთხვევაში თუ პროფესიული სტუდენტი არ ეთანხმება შეფასებას, მოქმედებს პროფესიული სტუდენტის გასაჩივრების/აპელაციის წესი.პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგის დადასტურების/შეფასების შედეგის არასამართლიანად შეფასების შემთხვევაში, შეფასების გაცნობიდან 3 სამუშაო დღის ვადაში მიმართოს სასწავლო პროცესის მართვის მთავარ სპეციალისტს წერილობით და მოითხოვოს შეფასების გადასინჯვა.

2.4.1.2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

როგორც დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, სასწავლო პროცესის ორგანიზება ხორციელდება პროფესიული სტუდენტის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. კოლეჯში შექმნილია საკონსულტაციო სამსახური, რომლის ფარგლებში მომუშავე პირი პროფესიულ სტუდენტებს უწევს კონსულტირებას და დახმარებას სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე.

კოლეჯში შექმნილია სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რომლის ფარგლებშიც სამსახურის უფროსი და სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტი სხვა მოვალეობებთან ერთად კოორდინაციას უწევენ კოლეჯში სასწავლო პროცესს და პასუხისმგებელნი არიან სასწავლო პროცესის ეფექტიანად ორგანიზებასა და მართვაზე პროფესიული სტუდენტების საჭიროების გათვალისწინებით. ხელს უწყობენ პროფესიული განათლების მიღების მსურველთა პროფორიენტაციას, ორგანიზებასა და მონიტორინგს უწევენ პარტნიორ ორგანიზაციებში პროფესიული სტუდენტების პრაქტიკას/სტაჟირებას, სტუდენტებს აწვდიან ინფორმაციას სიახლეების და პოტენციური დასაქმების ადგილების შესახებ; თანამშრომლობენ პროგრამის ხელმძღვანელებთან საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებით, ორგანიზებას უწევენ სტუდენტთა გამოკითხვებს, განიხილავენ მათ განცხადებებს, და პრეტენზიებს; კონსულტირებას უწევენ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებ პირს/პროფესიულ მასწავლებელს კალენდარულ გეგმასთან დაკავშირებით და სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფენ სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გეგმის მიხედვით ცხრილების შედგენას. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის პრინციპები და წესები უზრუნველყოფენ სამართლიანი, კონკურენტული, პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნას. წელიწადში ერთხელ, კურსდამთავრებულთა გამოკითხვა ხდება ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შემუშავებული/წარდგენილი ონლაინ კითხვარებით. აღნიშნულის მიზანია კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა და მათი პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი მოთხოვნების გადახედვა. შესაფასებლად გამოიყენება კურსდამთავრებულთა ონლაინ კითხვარი და კურსდამთავრებულთა დასაქმების აღრიცხვა/სტატისტიკის ანალიზი. გარკვეული პერიოდულობით იმართება შეხვედრები პოტენციურ დამსაქმებლებთან მათი საჭიროებების გამოვლენის მიზნით, რომელთა მიზანიცაა კონკრეტული პროგრამისათვის იმ უნარ ჩვევებისა და ცოდნის იდენტიფიცირება რომელიც საჭიროა კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის დასასაქმებლად.

კოლეჯში უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესი და ხელმისაწვდომია მათთვის ადაპტირებული სასწავლო გარემო.

დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის მიერ 18/08/2020 N 00000890 ბრძანებით დამტკიცებული აქვს სახელმწიფო დაფინანსების მსურველ აპლიკანტთა გასაუბრების (კონკურსის/შერჩევის) წესი, ეს მექანიზმი უზრუნველყოფს პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაზე სახელმწიფო დაფინანსების მსურველი აპლიკანტის ჩარიცხვის პროცესის ობიექტურობისა და გამჭვირვალებას იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა მეტია იმ აპლოკანტთა რაოდენობაზე, ვინც აირჩია ეს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა.

2.4.1.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამა „ფარმაცია (საათიაქო)“ ხორციელდება ყველა იმ მატერიალური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით და პროგრამით გათვალისწინებული მოდულებით. როგორც პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებით და მათ პირად საქმეებში წარმოდგენილი სერტიფიკატებით დგინდება, ისინი ფლობენ თანამედროვე მეთოდებს და შესაბამისად ატარებენ მეცადინეობებს. შესაბამისი ლაბორატორის და აუდიტორიების დათვალიერების შედეგად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის პროფესიულ სტუდენტებს ექნებათ თავისუფალი წვდომა საგანამანთლებლო მასალებთან, კომპიუტერებთან და კომპიუტერულ პროგრამებთან.

2.4.1.4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

„ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია როგორც სსსმ და შშმ პირებისთვის, ასევე სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი, შიდა და გარე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება.

კოლეჯში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ინიცირება ხდება მაშინ, როდესაც წამოიჭრება ამის საჭიროება. კოლეჯის დირექტორი ქმნის კომისიას, რომელსაც ამტკიცებს სამართლებრივი აქტით. კომისიის შემადგენლობა შედიან - სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და საგნის/მოდულის განმახორციელებელი პირი. კომისიის მიერ ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტის შემუშავება, შემუშავებული პროექტის პროფესიული სტუდენტებისთვის გაცნობა კოლეჯის მიერ დადგენილ ვადებში. კომისია კოლეჯის დირექტორს წარუდგენს ოქმს, რომელსაც დანართის სახით დაერთვება პროექტი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობასთან დაკავშირებით.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისთვის განსაზღვრულია შემდეგი ეტაპებია:

- ინფორმაციის შეგროვება - პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების შესახებ ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში ცნობა სამსახურიდან;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება/დამტკიცება - პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი პროგრამის კრედიტების რაოდენობის, სასწავლო განრიგისა და სასწავლო დატვირთვის განსაზღვრა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელება - განხორციელება, დაკვირვება/მონიტორინგი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გადახედვა/განახლება - ხორციელდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიმდინარეობის მიხედვით, მიღწევების შეფასება და განსაზღვრა თუ რამდენად უახლოვდება პროფესიული სტუდენტი შედეგს. ანგარიშის მომზადება/ანალიზი.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროფესიულ სტუდენტზე გაცნობის და თანხმობის შემდეგ (პროფესიული სტუდენტი წერილობით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
აფიქსირებს თანხმობას გაცნობის შესახებ) კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცება. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხდება შეთანხმება პროფესიულ სტუდენტთან, ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის თავიდან შემუშავება/გადამუშავება.

სსსმ და შშმ პირების არსებობის შემთხვევაში სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი ახდენს ამ პირების საჭიროების შესწავლასა და ანალიზს, რის შემდეგაც ადმინისტრაციას წარედგინება რეკომენდაციები გამოვლენილი პრობლემების დროულად და ეფექტურად გადაჭრის მიზნით, მოდულის განმახორციელებელი სსსმ და შშმ პირს უდგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელშიც გათვალისწინებულია პირის განსხვავებული მოთხოვნები და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სსსმ და შშმ პირებისთვის სწავლა-სწავლების, შეფასების, სასწავლო ინსტრუქციების, საგანმანათლებლო რესურსების ადაპტაციას, სათანადო ფორმებისა და პირობების შეთავაზებას, რათა პირი შეუფერხებლად იქნას ჩართული საგანმანათლებლო პროცესში.

2.4.1.5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

კოლეჯში პროგრმის ფარგლებში გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სს „გეფა“ -სთან **(იხ. ქვესატნდარტი 2.2.1-პუნქტი 1).** მემორანდუმის მიზანია მხარეთა ერთობლივი საქმიანობით კოლეჯის ფარმაცევტული სპეციალობის სტუდენტთა ხელშეწყობა. „კოლეჯის“ და „კომპანიის“ ერთობლივი საქმიანობის სფერო და მოცულობა განისაზღვრება ურთიერთთშეთანხმების საფუძველზე, რომლის თანახმად დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამის ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიული სგანმანათლებლო პროგრამის 8 მოდულის (შეთანხმებაში ჩამოწერილია მოდულების დასახელებები) პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას. როგორც უკვე აღინიშნა, კომპანიის დაქვემდებარებაში სხვა აფთიაქებთან ერთად შედის 300-მდე ფარმადეპოს და ჯპს- ის აფთიაქი მთელი საქართველოს მაშტაბით, მათ შორის 200-მდე აფთიაქი თბილისშია განთავსებული. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კოლეჯის სტუდენტები სრულად იქნებიან უზრუნველყოფილნი პრაქტიკის ობიექტებით, რაც ასევე დაგვიდასტურა კომპანიის წარმომადგენელმა ონლაინ ჩართვაში. მასთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ისინი იცნობენ მოდულებს და კონკრეტული მოდულების განხორციელების პერიოდში აქტიურად ითანამშრომლებენ კოლეჯის შესაბამის პირებთან კონკრეტული შედეგების განხორციელების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულებამ 2019 წლის 14 ივნისს მიიღო ავტორიზაცია და დაიმატა ეს პროგრამა. პროგრამის განხორციელება დაიწყო 2019 წლის ოქტომბერში თუმცა პანდემიასთან დაკავშირებით 2019 წლის 2 მარტს შეწყდა, განახლდა 6 ივლისს და არდადეგები დაიყო 16 აგვისტოს. აქედან გამომდინარე, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება ამ ეტაპამდე არ დაწყებულა.

2.4.1.6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

იმ აუდიტორიებში, რომლებშიც პროგრამის განხორციელება იგეგმება, სრულად არის დაცული უსაფრთხოების ნორმები. C გარემოში, რომელშიც განთავსებულია ლაბორატორიის სრული აღჭუვილობა, დამონტაჟებულია გამწოვი კარადა, ონკანი და განთავსებული აგრესიული ხსნარების მიმართ მდგრადი მასალით დამზადებული მაგიდები. დაწესებულების მიერ შემუშავებული და დირექტორის მიერ დამტკიცებულია სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი, სასწავლო მიზნებისთვის გამოყენებული მასალისა და ნედლეულის გამოყენების და ნარჩენების მართვის წესი. კოლეჯის დებულების მუხლი 60 - ით განსაზღვრულია უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მექანიზმები. კოლეჯი აყვანილია ცენტრალიზებული დაცვის სისტემაზე. დაწესებულებას აქვს შენობის მთელ პერიმეტრზე (შიდა და გარე) დამონტაჟებული ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერები. კოლეჯში მთელ ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, ევაკუაციის პროცედურები, რომლის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში მოხდება შენობის უსაფრთხო დატოვება.კოლეჯი აღჭურვილია შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, ცეცხლმაქრებით, რომელიც განთავსებულია შსს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ დადგენილ ადგილებზე და მისი გამოყენების ინსტრუქცია გამოკრულია აღნიშნულ ინვენტართან და ახსნილია კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის. საგანგებო ვითარების დროს საჭიროების შემთხვევაში, ადმინისტრაცია უკავშირდება შესაბამის უწყებებს (სასწრაფო, სახანძრო, პატრული და ა.შ.).

კოლეჯის შენობაში არსებობს სპეციალური სამედიცინო დახმარების აღმოჩენის სივრცე, სადაც ინახება პირველადი გადაუდებელი დახმარებისათვის საჭირო ინვენტარი და ამის შესახებ ინფორმირებულნი არიან სტუდენტები და პერსონალი.

პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას უზრუნველყოფს კოლეჯის სამეურნეო საქმიანობისა და შრომის უსაფრთხოების მენეჯერი.ისეთი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საჭიროებისას, რომლის კომპეტენცია არ აქვს კოლეჯს, ოპერატიულად გამოძახებული იქნება სასწრაფო დახმარება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანთლებლო პროგრამით „ფარმაცია (სააფთიაქო)“ და მოდულებით;
- კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით-დამტკიცებული შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის დირექტორის 2020 წლის 8 ივნისის N19 ბრძანებით;
- 18/08/2020 კოლეჯის დირექტორის N 00000890 ბრძანებით სახელმწიფო დაფინანსების მსურველ აპლიკანტთა გასაუბრების (კონკურსის/შერჩევის) წესის შესახებ;
- პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგებით;
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.2.1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის 2020 წლის 8 ივნისის N24 ბრძანებით დამტკიცებული აქვს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი განასკერტელის შეფასების სისტემა და მისი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. შეფასების სისტემის წესები განსაზღვრულია კოლეჯის დებულებითაც. აღნიშნული წესი ფარავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი; შეფასების პროცესის/გამოცდის ჩატარება და შედეგების გაპროტესტება/აპელაცია; შეფასება პრაქტიკის ბაზაზა; სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი; შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა; პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის წარმოება და შიდა მონიტორინგი.

პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემით გათვალისწინებულია შემდეგი: მოდულის სწავლების ფორმის, მისაღწევი სწავლის შედეგებისა და შესრულების სპეციფიკიდან და შეფასების მიზნიდან გამომდინარე, შეფასების ინსტრუმენტს, განსაზღვრავს მოდულის განმახორციელებელი პირი/პროფესიული მასწავლებელი. შეფასება მოიცავს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს, განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელთან/სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსთან შეთანხმებით. შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც მოიცავს ტესტურ დავალებას, აღნიშნული ტესტის გასაღებს მოდულის განმახორციელებელი პირი უთანხმებს პროგრამის ხელმძღვანელს და წარუდგენს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსს. ტესტის გასაღების კონფიდენციალურობა მკაცრად დაცულია და ინახება პროგრამის განმახორციელებელი პირის/პროფესიული მასწავლებლის პორტფოლიოში. შემოწმების მიზნით შეფასების ინსტრუმენტი შეფასების განხორციელებამდე არაუგვიანეს ათი სამუშაო დღით ადრე წარედგინება სასწავლო პროცესის სამსახურს, რომელიც თავის მხრივ განიხილავს ინსტრუმენტის პროექტს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად. სასწავლო პროცესის სამსახური უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების პროცესში ჩართოს შესაბამისი დარგის სპეციალისტები, სხვა პროფესიული განათლების მასწავლებელი; შეფასების მიზნებისათვის ნებადართულია მხოლოდ შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება. შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს. პროცესი დასრულებულად ითვლება მხოლოდ შეფასების შედეგების დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ. პროფესიული განათლების მასწავლებელი/ შემფასებელი ვალდებულია უზრუნველყოს მტკიცებულებების შექმნა (ტესტის, შეფასების სქემის, დაკვირვების ფურცლის, სტუდენტის საქმიანობის ამსახველი ვიდეოჩანაწერის ან სხვა საშუალებებით) და შეფასების შემდეგ გადასცეს კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის მთავარ სპეციალისტს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
განსათავსებლად. წარმოდგენილი წესის თანახმად შესაძლებელია მოდულის რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება, შედეგის/შედეგების დადასტურება ფორმდება შეფასების უწყისში, რომელიც დაწესებულებაში ინახება უვადოდ.
განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში თუ აღნიშნული მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების ისევ ვერ დადასტურების შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია მოდული გაიაროს თავიდან, აღნიშნული მოდულის საფასურის გადახდით. განმეორებითი შეფასებისას საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირს/პროფესიულ მასწავლებელს უფლება აქვს პრაქტიკული კომპონენტის შეფასების ინსტრუმენტი გამოიყენოს შეუცვლელად, ხოლო თეორიული კომპონენტის შეფასების ინსტუმენტში ღია ტიპის კითხვები დატოვოს უცვლელად და დახურული ტიპის კითხვების შემთხვევაში შეცვალოს მათი რიგითობა ან შეადგინოს იგივე სირთულის სხვა კითხვები.
კოლეჯის მიერ შემუშავებული წესის და შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგების თანახმად ინფორმაცია შეფასების შესახებ ხელმისაწვდომია მხოლოდ პროფესიული სტუდენტისათვის და არა ნებისმიერი მესამე პირისთვის. ვიზიტის პერიოდში ექსპერტები გაეცვნენ შეფასების ინსტრუმენტებს, რომლებშიც გათვალისწინებულია როგორც დახურული, ასევე ღია კითხვები.

შეფასების პროცედურებთან დაკავშირებით, პროფესიული სტუდენტების სრულად ინფორმირების მიზნით, კოლეჯის ვებგვერდზე ატვირთულია პროფესიული სტუდენტის გზამკვლევი, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად დეტალურადაა აღწერილი შეფასების პროცედურა და მათ შორის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (მოდულურ/დუალური) პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასების თავისებურებები, რაც სრულ შესაბამისობაშია არსებულ მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს ამ სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ობიექტურობას.

2.4.2.2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კოლეჯში საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით იქმნება ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მანეჯერი და რომელშიც, მასთან ერთად, გაერთიანებული არიან განათლების ვერიფიკატორი, დარგის ვერიფიკატორი და სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირი. საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ შექმნილი დოკუმენტით „შეფასების სისტემა და მისი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ განსაზღვრულია ვერიფიკაციის ჯგუფის ძირითადი ამოცანები, ვერიფიკაციის მიმართულებები და გაწერილია ძირითადი ეტაპები, რომლებიც მოიცავს: ვერიფიკაციის გეგმის შედგენას, ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევას, განხილვის ორგანიზებას, ფაქტობრივ გარემობებზე შეთანხმებას, ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენას, და ა.შ. ვერიფიკაციის ჯგუფის ერთერთი მთავარი ამოცანაა პრობლემური საკითხების იდენტიფიცირება, შესაბამისად აღმოფხვრის გზების ძიება და სამოქმედო გეგმის შედგენა, რაც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა შედეგების გაუმჯობესებას. კოლეჯის მიერ შექმნილია სამოქმედო გეგმა, რომელშიც ასახულია განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი. წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნაში ნათლად უნდა აისახოს ის საკითხები, რომლებიც ეხება შეფასების ვალიდურობას, სანდოობას, გამჭირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას.

კოლეჯის დებულების და შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ ვერიფიკაციის ჯგუფი მოქმედებს ამ კოლეჯის დებულების, შინაგანაწესისა და დაწესებულების სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად და ანგარიშვალდებულია კოლეჯის დირექტორის წინაშე.

კოლეჯმა წარმოადგინა პროგრამის „ფარმაცია ((სააფთიაქო)“ ფარგლებში ჩატარებული შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის ანალიზის დოკუმენტი, რომელიც ასახავს შემდეგი მოდულების: ბოტანიკა; ანატომია-ფიზიოლოგიის საბაზისო პრინციპები; სანიტარულ ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში; მორფოლოგიის და მემკვიდრეობის საბაზისო საკითხები - შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის შედეგებს. როგორც კოლეჯის წარმომადგენლებმა განმარტეს, ეს იყო მათი მხრიდან ვერიფიკაციის ჩატარების პირველი მცდელობა, რასაც პანდემიის გამო შეეშალა ხელი და სასწავლო წლის დაწყების შემდგომ გეგმავენ კვლავაც გააგრძელონ და დახვეწონ ვერიფიკაციის პროცესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტების შეფასებით აღნიშნული პრაქტიკა საკმარისი მტკიცებულებაა, რომ დაწესებულება შემდგომში ეფექტურად შეძლებს ვერიფიკაციის პროცესის ადმინისტრირებას.

2.4.2.3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 8 ივნისის N 24 ბრძანებით შემუშავებული დოკუმენტის - „შეფასების სისტემა და მისი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ -მუხლი N 53 მუხლით განსაზღვრულია სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი. წესის თანახმად შეფასების მტკიცებულებები (ტესტები, პროექტები, მასწავლებლის დაკვირვების ფორმები, ასევე ელექტრონული სახით წარმოდგენილი პროდუქტი, მატერიალური სახით წარმოდგენილი პროდუქტი და სხვ.) დაწესებულებაში ინახება საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან 3 წლის ვადით.

2.4.2.4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის. შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგიით დაწესებულება განახორციელებს სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს, ხოლო მიღებულ შედეგებს გამოიყენებს პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის, რადგან ვერიფიკაციის ბოლო ეტაპი მიზნად ისახავს შეფასების ხარისხის გაუმჯობესებას, ასევე ყველა ხარვეზის კვალიფიკაციის მომდევნო შეფასებისთვის გამოსწორებას, რომელიც შიდა შემმოწმებლის (ვერიფიკატორის) მიერ იქნება გამოვლენილი.

სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი განასკერტელის დირექტორის 2020 წლის 8 ივნისის N24 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით „შეფასების სისტემა და მისი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;“
- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით;
- ხარისხის მენეჯერთან გასაუბრების შედგებით;
- კოლეჯის დირექტორთან გასაუბრების შედეგებით;
- . საგანმანთლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო“ და მოდულები;
- კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება-დამტკიცებული შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის დირექტორის 2020 წლის 8 ივნისის N19 ბრძანებით;
- შეფასების სისტემის და მისი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით და შესაბამისი დანართებით;
- ფარმაციის საგანმანთებლო პროგრამის 4 მოდულის შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის ანალიზის დოკუმენტით;
- ფაქტობრივი გარემოებით;
- დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრების შედეგებით;
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან გასაუბრების შედეგებით;
- პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი გაზრდილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი -2 გვერდი

თარიღი 16.09.2020

42 გვერდი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: